საჯარო სამართლის იურიდიული პირი

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი

საქპატენტი

სათაო ოფისი: 3300, ქ. მცხეთა, ანტიოქიის ქ. №5, ფაქსი: (+995 32) 2252531
0179, ქ. თბილისი, ნინო რამიშვილის ქ. №4, ტელ.: (+995 32) 2252533
E-mail: info@sakpatenti.org.ge; www.sakpatenti.gov.ge

N 10939/03 5 ნოემბერი 2025 წ.

განმცხადებლის დასახელება და მისამართი: სს „ივერია“
გუდაუთის ქ.N7, დიდუბის რაიონი, 0119 თბილისი, საქართველო

მიმოწერის მისამართი: სს „ივერია“
გუდაუთის ქ.N7, დიდუბის რაიონი, 0119, თბილისი

სსიპ - საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი „საქპატენტი“ (შემდგომ - საქპატენტი) გაცნობებთ, რომ „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდგომ - კანონი) მე-20 მუხლის მე-2 პუნქტისა და საქპატენტის თავმჯდომარის 2014 წლის 19 აგვისტოს N05 ბრძანებით დამტკიცებული „სასაქონლო ნიშანზე განაცხადის წარდგენისა და რეგისტრაციასთან დაკავშირებული პროცედურების შესახებ“ ინსტრუქციის (შემდგომ - ინსტრუქციის) 25-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, „სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის მოქმედების ვადა შეიძლება გაგრძელდეს ყოველი შემდგომი 10 წლით, გაგრძელების ჯერადობის შეუზღუდავად. სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის მოქმედების ვადას აგრძელებს „საქპატენტი“ ამ სასაქონლო ნიშნის მფლობელის მიერ „საქპატენტში“ წარდგენილი განცხადების საფუძველზე, დადგენილი წესით განსაზღვრული საფასურის გადახდის შემდეგ. აღნიშნული განცხადების „საქპატენტში“ წარდგენა და შესაბამისი საფასურის გადახდა წარმოებს რეგისტრაციის მოქმედების ბოლო წლის განმავლობაში.“

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან თქვენ არ მოგიმართავთ საქპატენტისთვის სასაქონლო ნიშნის

(რეგისტრაციის N26084, რეგისტრაციის თარიღი: 2015-07-16, რეგისტრაციის მოქმედების ვადის ამოწურვის თარიღი: 2025-07-16) რეგისტრაციის მოქმედების ვადის გაგრძელების შესახებ განცხადებით და მხოლოდ გადახდილია სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის მოქმედების ვადის გაგრძელებისთვის განსაზღვრული საფასური, გთხოვთ კანონის მე-20 მუხლის მე-2 ან მე-4 პუნქტის შესაბამისად, სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის

მოქმედების ბოლო წლის განმავლობაში ან სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის მოქმედების ვადის გასვლიდან 6 თვის ვადაში, **სავალდებულოა,** მომართოთ საქპატენტს ზემოთ მითითებული **სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის მოქმედების ვადის გაგრძელების მოთხოვნით,** წინააღმდეგ შემთხვევაში სასაქონლო ნიშნის რეგისტრაცია გაუქმდება.

პატივისცემით,

სასაქონლო ნიშნების, გეოგრაფიული
აღნიშვნებისა და დიზაინის
დეპარტამენტის უფროსი

დარეჯანი მჭედლიძე